ჩემპიონის პირველი დამარცხება

ბუნებრივი იყო ის დიდი სპორტული ინტერესი, რაც თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ცდკას” ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრამ გამოიწვია.

საბჭოთა კავშირის 1947 წლის ჩემპიონმა ფეხბურთში “ცდკამ” წელს პირველი სამი მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა – მოუგო მოსკოვის “სპარტაკს” (2:1), მოსკოვის “კრილია სოვეტოვს” (2:0) და სტალინგრადის “ტორპედოს” (4:0). თბილისის “დინამოს” შეხვედრა კი შედარებით სუსტ გუნდთან მოსკოვის “კრილია სოვეტოვთან” დამთავრდა ფრედ 1:1.

სტუმრები მოედანზე გამოვიდნენ ძირითადი შემადგენლობით: მეკარე ნიკანოროვი, დაცვა – ლიასკოვსკი, კოჩეტკოვი და პორტნოვი, ნახევარდაცვა – ვოდიაგინი და სოლოვიოვი, თავდასხმის ხუთეული – გრანინი, ნიკოლაევი, დიდევიჩი, ფედოტოვი, დიომინი.

თბილისელთა კარს იცავდა მარღანია, დამცველებად თამაშობდნენ ჭელიძე, ძიაპშბა, სარჯველაძე, ნახევარდამცველებად – გაგუა და პანიუკოვი, თავდამსხმელებად – გ. ჯეჯელავა, ანთაძე, მახარაძე, ღოღობერიძე, არეშიძე.

თამაში სწრაფი ტემპით დაიყო; ინიციატივა თავიდანვე დინამოელებმა იგდეს ხელში და წამიდან წამზე აგზავნიდნენ ბურთს “ცდკას” კარში. თბილისელთა პირველ შეტევას გადამწყვეტი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ამან გამოიწვია “ცდკას” თავდამსხმელთა გადმონაცვლება დაცვის ხაზზე. გრანინი, ნიკოლაევი და ფედოტოვი მეტწილად თავიანთ საჯარიმო მოედანზე ტრიალებდნენ. ამან ვერ იხსნა “ცდკას” გუნდის კარი პირველი და გადამწყვეტი ბურთისაგან. გაგუასაგან მიღებული ბურთი ღოღობერიძემ ახლოს მიიტანა მოსკოველთა საჯარიმო მოედანთან და იშვიათი სიზუსტით გადააწოდა “ცდკას” კართან მდგომ ანთაძეს, უკანასკნელმა კი ლამაზი თავური გარტყმით ბურთი მოსკოველთა კარის ბადეში მოაქცია.

“ცდკა” არ დაიბნა ამ პირველი მარცხით. მან სწრაფი შეტევა განავითარა, მაგრამ დინამოელებმა, განსაკუთრებით კი თავდაცვამ უკუაგდო მოსკოველთა იერიშები. თბილისელთა მთელი დაცვა ზუსტად და მოფიქრებულად თამაშობდა. ძიაპშპამ ისე “ჩაკეტა” “ცდკას” თავდასხმის ცენტრი დიდევიჩი, რომ მას ერთხელაც არ დაურტყამს ბურთი თბილისელთა კარში. ასევე ზუსტი დარტყმისა და მანევრირების ოდნავი საშუალებაც არ მისცა ჭელიძემ ისეთ შესანიშნავ მოთამაშეს, როგორიცაა დიომინი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა მეკარე მარღანია, რომელმაც ბევრჯერ იხსნა კარი გოლისაგან.

თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ 1:0.

თამაშის მეორე ნახევარი დაიწყო მოსკოველთა შეტევით. ისინი ხან მარცხენა, ხან მარჯვენა კუთხიდან იჭრებოდნენ თბილისელთა საჯარიმო მოედანზე, უფრო ზუსტად და მძლავრად აგზავნიდნენ ბურთს “დინამოს” კარში, მაგრამ თბილისელთა დაცვა მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა ისეთ ძლიერ გუნდთან, როგორიცაა “ცდკა”, მოიგო “დინამოს” დაცვამ.

განსაკუთრებული სურათი იყო თამაშის უკანასკნელ წუთებში:” “ცდკას” მეკარე ნიკონოროვიც კი თავდამსხმელად იქცა, მან სრულიად ღიად დასტოვა თავისი კარი და მოედნის შუაგულში იდგა.

თამაშის მეორე ნახევარში თბილისელები თავიდანვე თავდაცვაზე გადავიდნენ, მიუხედავად ამისა იყო შემთხვევები, როცა მათ შესაძლებლობა ჰქონდათ გაედიდებინათ ანგარიში, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს.

თამაშს სჯიდა საკავშირო კატეგორიის სახელმწიფო მსაჯი დიმიტრიევი (მოსკოვი).

თბილისის “დინამოს” გუნდი არ უნდა გათამამდეს მიღწეული წარმატებით. მისი თამაში უნაკლო როდი იყო, განსაკუთრებით სერიოზული მუშაობა სჭირდებათ დინამოელთა თავდამსხმელებს. ისინი უკეთესად უნდა დაეუფლონ ბურთის ზუსტად გადაცემისა და კარში დარტყმის ტექნიკას. უამისოდ შეუძლებელი იქნება ახალ სერიოზულ წარმატებათა მოპოვება.

ა. თარიშვილი.
“კომუნისტი”, 22 მაისი, 1948 წ.